ხელშეკრულება №76/17
(საკუთარი სახსრები)

"01" ივნისი 2017 წ. ქ.თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია"**, (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი კომპანიის გენერალური დირექტორის არჩილ ბუკიას სახით და მეორეს მხრივ, **შპს „გამა +"** (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიკა ბიბილეიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და შ-6272 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) ყავის შესყიდვა დანართი №1-ში მოცემული კონკრეტული სახეობების, რაოდენობების და CPV კოდის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად).

II. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **400.00 (ოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები მოცემულია №1 დანართში.

III. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღიდან 2017 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34. (მიმწოდებლის სავაჭრო ობიექტი - "ჩაი მანია").

IV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის" ცენტრალური საწყობის სპეციალისტი გიორგი ვარდიაშვილი.

V. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. 5.2 პუნქტის შესრულებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 4.2. პუნქტის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირ(ებ)ი.

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

შემსყიდველი

მიმწოდებელი

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

VII. გარანტია და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის ვადა მიწოდების დროისთვის იქნება არანაკლებ მისი ვარგისიანობის მთლიანი ვადის 70%-ისა, ასევე მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), არ იქნება დარღვეული საქონლის მთლიანობა და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. შეფუთვებზე გარკვევეით იქნება მითითებული ფირმის დასახელება და ვის მიერ არის წარმოებული, ასევე დამზადების და ვარგისიანობის ვადა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის (დეფექტის) მქონე ასევე დაზიანებული ან/და წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით შეტყობინების მიღებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, ასევე მოსაწოდებელი საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე კონტროლს ახორციელებს შ.პ.ს. ,,საქართველოს მელიორაციის" ცენტრალური საწყობის სპეციალისტი გიორგი ვარდიაშვილი.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით;

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული ვად(ებ)ის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 5 %-ის ოდენობით;

8.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 50%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.3. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

X. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

XII. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

XIII. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულებაცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზეც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

XIV. სხვა პირობები

14.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარ ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (2 ეგზემპლარი შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

XV. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „საქართველოს მელიორაცია”	**შპს „გამა +“**
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568	საიდენტიფიკაციო კოდი 204933714
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6	მისამართი ქ. თბილისი, ტ.ტაბიძის ქ. N57
	საკონტაქტო ნომერი: 557455455
ს/ს საქართველოს ბანკი	ს/ს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100	ა/ა: GE05TB11 0000 0360 2003 91
გენ. დირექტორი: **არჩილ ბუკია**	დირექტორი: **მარიკა ბიბილეიშვილი**

2017 წლის 1 ივნისი
N76/17 ხელშეკრულების

დანართი N1

№	შემსყიდველის საწყობის ნომენკლატურა (ERP კოდი)	საქონლის დასახელება	კლასიფიკატორის (CPV) კოდი	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ. ფასი
1	1580011	ყავა კენია - აპარატის, დაფქვილი	CPV 15860000	2 კგ	100.00	200.00
2	1580010	ყავა ესპრესო სიცილიანო- აპარატის, დაფქვილი		2 კგ	100.00	200.00
					სულ:	400.00 ლარი

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568

გენერალური დირექტორი: **არჩილ ბუკია**

„მიმწოდებელი"
შპს „გამა +"
საიდენტიფიკაციო კოდი 204933714

დირექტორი: **მარიკა ბიბილეიშვილი**

N შ-6272
01/06/2017

6272-გ-3-201706011109

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურ დირექტორს
ბატონ არჩილ ბუკიას
გენერალური დირექტორის თანაშემწის ნათია ყიფიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო არჩილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია კომპანიაში მოწვეული სტუმრებთან ერთად პერიოდულად იმართება შეხვედრები, რომლის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდეგი დასახელებისა და რაოდენობის ყავა და ხელსახოცი. გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნულის შეძენა.

#	**საქონლის დასახელება**	საქონლის კოდი	**რაოდ-ბა**	**განზ-ბა**
1	ყავა ესპრესო - აპარატის, დაფქვილი	ს.კ. 1580010	2	კგ.
2	ყავა კენია - აპარატის, დაფქვილი	ს.კ. 1580011	2	კგ.
3	ხელსახოცი „სელპაკი“	ს.კ. 3950004	10	ცალი

158 61000
158 61000

პატივისცემით,

ნათია ყიფიანი

ნ. ყიფ